ოქმი:**ო37. 37232906**
თარიღი:**17/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

პაატა კიღურაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი,16 ოქტომბერი
სოფ. ბაილეთი
13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, სოფელ ბაილეთის,სოფელ ჯუმათისა და სოფ.სილაურის მერის წარმომადგენლები თემში, კოლეგები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს.პატივი მიაგეს უახლოეს პერიოდში სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას. დ. დარჩიამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ პაატა კიღურაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ბიუროს,ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში ,არის სამანდატო,საპროცედურო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე. თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა პაატა კიღურაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა სტიქიის ზონებს:სტიქიის შედეგად სოფელ ჯუმათში დაზიანდა და საცხოვრისად უვარგისია 70 ოჯახი, მათი მფლობელები გასახლებულია სტიქიის ზონიდან. ასევე სოფელ ბაილეთსა და სილაურიდანაც მოხდა მოსახლეების გასახლება შესაბამისად 15,16 ოჯახი,რომლებსაც მიეცათ დროებითი საცხოვრისი. სოფლებში სრულიად განადგურებულია გზები,დანგრეულია ხიდები შეზღუდულია გაზის მიწოდება.

უახლოეს დროში გაკეთდება პროექტები,თუ სად და როდის აღდგება დაზიანებული ობიექტები. რაც შეეხება გაზის თემას სოფ. ჯუმათში 60 % განადგურებულია.ბაილეთი ჭანიეთურის შემაერთებელი გზა დაპროექტებულია, მაგრამ სტიქიამ შეაფერხა გზის მშენებლობა.

საკრებულოს წევრმა გოჩა კილაძემ აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა მადლობას უხდის მერიის ხელმძღვანელობას და თავად საკრებულოს წევრს პაატა კიღურაძეს,სოფლის წარმომადგენლებს თემში,გვერდში დგომისა და თანაგრძნობისთვის.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ პაატა კიღურაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი